ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოში

მე-11 პერიოდული მიმოხილვა

საინფორმაციო მასალა მომზადებულია - "საქართველოს ევროპული ორბიტას" მიერ და ეფუძნება საჯაროდ გავრცელებულ წყაროებს

აპრილი-ივნისი, 2026

- **უწყვეტი საზოგადოებრივი პროტესტი**

წელიწადი და 7 თვეა საქართველოში უწყვეტად გრძელდება საზოგადოებრივი პროტესტი, რომელიც 2024 წლის 28 ნოემბერს "ქართული ოცნების" ხელისუფლების მიერ ევროინტეგრაციის შეჩერების გადაწყეტილებას მოჰყვა.

პროტესტის მონაწილეთა მიმართ გატარებული რეპრესიების მიუხედავად, პროტესტი არ შეწყვეტილა, არამედ ტრანსფორმირდა - ბოლო თვეებია მოქალაქეები ყოველ შაბათ საღამოს მრავალრიცხოვანი მარშით გამოხატავენ მზარდი ავტორიტარიზმისა და დემოკრატიის უკუსვლისადმი შეუგუებლობას.

- **რეპრესიები პროტესტში ჩართული მოქალაქეების წინააღმდეგ**

გრძელდება რეპრესიები პროტესტის მონაწილეთა მიმართ, რაც გულისხმობს როგორც საპატიმრო, ისე დრაკონულ ფინანსურ სანქციებს მოქალაქეების წინააღმდეგ, მათ შორის, ტროტუარზე დგომის გამო.

- პატიმრობები ტროტუარზე დგომის გამო

2025 წელს მიღებული კანონით, ტროტუარზე დგომა ითვლება უკანონოდ, თუ პოლიცია მიიჩნევს, რომ პროტესტის მონაწილე აფერხებს ტროტუარზე მოქალაქეთა გადაადგილებას. ბოლო ოთხ თვეში, იანვრის ბოლოდან მაისის ჩათვლით, ორმოცზე მეტმა ადამიანმა ტროტუარზე დგომით პროტესტის გამოხატვისთვის იზოლატორის საკნებში საშუალოდ 2-

დან 5 დღემდე გაატარა. სასამართლო საქმეებს კონვეიერული მიდგომით იხილავდა და, მაგალითად, იყო შემთხვევა, როდესაც, 5 გადაწყვეტილება 36 წუთში იქნა მიღებული. დაკავებულ შორის ბევრი ქალია, მათ შორის, ქალი მასწავლებლები, სტუდენტები, რომლებსაც საათების განმავლობაში ამყოფებდნენ ბორკილდადებულს. კვლავ დაფიქსირდა დაკავებული ქალისთვის პოლიციის განყოფილებაში შემოწმების მიზნით სრული გაშიშვლების იძულების ფაქტი.

- მძიმე ფინანსური ჯარიმები და ყადაღა

გრძელდება აქციის მონაწილეების მძიმე ფინანსური სანქციების გამოყენება, მათ შორის, ცნობილ საოპერო მომღერალსა და ამჟამად პატიმრობაში მყოფ პაატა ბურჭულაძეს გზის გადაკეტვისთვის 710 000 ლარის ოდენობის 142 ჯარიმა აქვს გამოწერილი.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებით ბევრი მოქალაქის ანგარიში დააყადაღეს 5000 ლარიანი ჯარიმის გადაუხდელობის გამო. ხშირად, დაყადაღებულ მოქალაქეებს ინფორმაციაც კი არა აქვთ, რომ მათ მიმართ გამოწერილი იყო მრავალათასიანი ჯარიმა.

- თვალთვალი ჩინური და რუსული ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით

პროტესტის მონაწილეთა უკეთ ამოცნობისა და დევნის მიზნებისთვის აქტიურად გამოიყენება პარლამენტის მიმდებარედ განთავსებული ვიდეოსამეთვალყურეო კამერები, რომელთა დიდი ნაწილიც, საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციით, აშშ-ის მიერ სანქცირებული ჩინური კომპანიების პროდუქტებია. გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, ჩინურ ტექნოლოგიებთან ერთად, მოქალაქეთა სათვალთვალოდ ასევე გამოყენებულია რუსული სპეცსამსახურთან დაკავშირებული პროგრამები.

- ნივთების და აღჭურვილობის უკანონოდ ჩამორთმევა

პოლიციის მიერ საპროტესტო აქციების დროს პროტესტისთვის აუცილებელი ნივთებისა და ტექნიკის უკანონოდ გამოცხადება და ჩამორთმევა უკვე ჩვეულ პრაქტიკად იქცა.

მაგალითად, 26 მაისს, ოპოზიციური პარტიების ალიანსის მასშტაბური მსვლელობა/აქციის ორგანიზატორებს უარი ეთქვათ აქციის დაგეგმილი წესით ჩატარებაზე, მათ შორის სცენისა და დინამიკების განთავსებაზე. პოლიციამ, ასევე, გადაადგილების უფლება არ მისცა მანქანას, რომელსაც დემონსტრაციის აღჭურვილობა გადაჰქონდა. პოლიციამ მანქანის მძღოლს მართვის მოწმობა ერთი წლით ჩამოართვა და 1 000 ლარით დააჯარიმა.

მთავრობის კანცელარიის წინ 45 დღიანი საპროტესტო აქციის განმავლობაში, წვიმაში, კარვის გაშლაზე უარი ეთქვათ დიუშენის სინდრომის მქონე ბავშვების მშობლებსაც, რომლებსაც სიცივის მიუხედავად, არ ეძლეოდათ პლედებისა და რბილი დასაჯდომის აქციაზე მიტანის უფლება.

აღსანიშნავია, რომ 2026 წლის 23 ივნისს ქართული სამოქალაქო ორგანზაციის საჩივრის საფუძველზე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პროტესტის დროს კარვის გაშლის გამო პირის ადმინისტრაციული წესით სამართალდამრღვევად ცნობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციას ეწინააღმდეგება.

500 დღიანი სამოქალაქო პროტესტის შეფასებისას, Amnesty International ანგარიშში ასკვნის, რომ საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობა დამოუკიდებლობის შემდეგ ერთ-ერთ ყველაზე მძიმე კრიზისს განიცდის.

- **პოლიტიკური პატიმრები და პოლიტიკურად მოტივირებული დევნა პოლიტიკოსთა წინააღმდეგ**

ამ დროისათვის 2024 წელს პრო-ევროპულ საპროტეტესტო აქციებში მონაწილეობის გამო დაკავებული ასობით ადამიანიდან პატიმრობაში რჩება 50 ადამიანი.

სისხლის სამართლის საქმე აღძრულია თითქმის ყველა ოპოზიციური პარტიის ლიდერის მიმართ, მათი ნაწილი, ადრე წაყენებული ბრალით, ამ დროისთვისაც პატიმრობაში რჩება. პატიმრობაში არიან ოპოზიციური გაერთიანებების ლიდერები: ელენე ხოშტარია (პ/გ "დროა"), რომელსაც 1.5 წლით თავისუფლების აღკვეთა "ქართული ოცნების" მერობის კანდიდატის ბანერზე მარკერით გაკეთებული საპროტესტო წარწერის გამო მიესაჯა და ნიკა მელია (პ/გ "ახალი"), რომელსაც ერთი წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა სასამართლოს უპატივცემულობის გამო.

რაც შეეხება სხვა პოლიტიკურ ლიდერებს: გიორგი ვაშაძეს (პ/გ "სტრატეგია აღმაშენებელი"), ნიკა გვარამიას (პ/გ "ახალი"), ზურაბ ჯაფარიძეს (პ/გ "გირჩი - მეტი თავისუფლება"), მამუკა ხაზარაძეს, ბადრი ჯაფარიძეს (პ/გ "ლელო") - დეკემბერ-იანვარში პატიმრობების ვადის ამოწურვის და საპატიმრო დაწესებულებების დატოვების შემდგომ მათ ახალი სს ბრალი და გირაო შეეფარდათ, ე.წ. საბოტაჟის საქმეზე, რაც 2-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. ამ საქმის ფარგლებში ოპოზიციონერ პოლიტიკოსებს სახელმწიფოს წინააღმდეგ საქმიანობას ედავებიან, საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის უფლებადარღვევების შესახებ ინფორმაციის მიწოდების გამო.

სს ბრალი და პატიმრობა დაუსწრებლად აქვს შეფარდებული „ქართული ოცნების" ყოფილ პრემიერ-მინისტრს, ამჟამად ოპოზიციური პარტიის ლიდერს, გიორგი გახარიას (პ/გ "საქართველოსთვის"). მას ორი სისხლისსამართლებრივი ბრალდება დაუსწრებლად წარედგინა, რაც 13 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პარალელურად, "ქართულ ოცნება" გეგმავს პოლიტიკური პარტიების აკრძალვის მოთხოვნით საკონსტიტუციო სარჩელს, რომლითაც მოთხოვნილი აქვს „ერთიან ნაციონალურ მოძრაობის",

„კოალიციას ცვლილებისთვის“ და „ძლიერ საქართველოს/ლელოს“ აკრძალვა, პარტია „ფედერალისტებიც“ დაუმატოს.

თბილისის მერის კახა კალაძის საარჩევნო ბანერზე მარკერით გაკეთებული წარწერის გამო ციხეში მყოფი ელენე ხოშტარიას ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა. მას ხელჯოხით გადაადგილებაც უჭირს. ამის მიუხედავად, ბოლო დრომდე არ ეძლეოდა სათანადო სამედიცინო დახმარების მიღების შესაძლებლობა. საზოგადოების მიერ პროტესტის გამოხატვის შემდეგ, ელენე ხოშტარია სამკურნალოდ კლინიკაში გადაიყვანეს.

პატიმრობაში მყოფი პოეტი ზვიად რატიანი მკაცრი რეჟიმის პირობებში იხდის სასჯელს. პენიტენციურმა სამსახურმა აღნიშნული მსჯავრდებულის უსაფრთხოებით ახსნა. ადვოკატმა ამ განმარტებას დაუსაბუთებელი უწოდა და მიუთითა, რომ ამით ზვიად რატიანს არსებითად ეზღუდება პაემნების ჯეროვნად გამოყენება, ასევე სატელეფონო საუბარი. პენ საქართველოს განცხადებით, მკაცრი რეჟიმის პირობებში მოთავსებით, ხელისუფლება განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდება სინდისის პატიმარს, ჩვენი დროის ერთ-ერთ საუკეთესო ქართველ პოეტს პოეტ ზვიად რატიანს.

- **სტრასბურგის სასამართლოს დროებითი ღონისძების შეუსრულებლობა**

თბილისში აზერბაიჯანის პრეზიდენტის ვიზიტამდე 2 დღით ადრე დააკავეს და აზერბაიჯანს გადასცეს აზერბაიჯანელი ჟურნალისტი, ალიევის ხელისუფლების კრიტიკოსი - აფგან სადიგოვი. სასამართლო პროცესი, რომლის შედეგადაც სადიგოვი საქართველოდან გააძევეს, ღამის 4 საათზე შედგა. აზერბაიჯანში სადიგოვი სისხლის სამათლის ბრალდებით ხელახლა დააკავეს. აზერბაიჯანი ჟურნალისტის გადაცემას დიდი ხნის განმავლობაში ითხოვდა, თუმცა ეს პროცესი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დროებითი ღონისძიების გამოცემით შეჩერებული იყო. შესაბამისად, სადიგოვის აზერბაიჯანისთვის გადაცემა არღვევს როგორც ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას, ასევე, წარმოადგენს სამოქალაქო აქტივისტის წინააღმდეგ ტრანსნაციონალური დევნას.

- **2025 წლის 4 ოქტომბრის აქციაზე დაკავებულები**

პირველი ინსტანციის სასამართლოებში ფაქტობრივად დასრულდა 4 ოქტომბრის მოვლენებთან დაკავშირებით დაკავებულ პირთა სისხლის სამართლის საქმეების განხილვა. დაპატიმრებულებს ბრალად ედებათ სტრატეგიული და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ხელში ჩაგდების და ბლოკირების მცდელობა, ჩადენილი ჯგუფურად. ასევე, ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობა. “4 ოქტომბრის საქმის” ფიგურანტებს რამდენიმე ჯგუფად ასამართლებდნენ.

დაკავებულთა ნაწილი ბრალის აღიარების სანაცვლოდ, საპროცესო შეთანხმების გაფორმების შემდეგ გაათავისუფლდა პატიმრობიდან. 61 ადამიანიდან საპროცესო შეთანხმება 22-ს გაუფორმდა. დამატებით, 7 პირს, რომელთაც ბრალის აღიარებაზე უარი განაცხადეს, მათ შორის 72 წლის პედიატრს, 5 წლით პატიმრობა მიესაჯა. დაპატიმრებული პირების საქმეთა ნაწილში წარმოდგენილი არ ყოფილა საკმარისი მტკიცებულება მათ მიერ ძალადობის ჩადენის შესახებ. რიგ შემთხვევებში, საქმის მასალებში არსებული ვიდეოებიდან ნათლად ვერ ხდებოდა პირის იდენტიფიცირება.

„4 ოქტომბრის საქმეზე" დაკავებულ პოლიტიკოსებს, მათ შორის, ცნობილ საოპერო მომღერალს პაატა ბურჭულაძეს 5 და 7 წლით პატიმრობა მიესაჯათ. 4 ოქტომბრამდე დაკავებულ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთ ლიდერს, ლევან ხაბეიშვილს 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა საბოტაჟისა და ხელისუფლების დამხობის მოწოდებისთვის.

- **გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა სოციალურ მედიაში**

„საჯარო სივრცეში სიძულვილის ენის, შეურაცხმყოფელი კამპანიებისა და აგრესიული კომუნიკაციის სისტემური მონიტორინგისა და რეაგირებისთვის" "ქართულმა ოცნებამ" შინაგან საქმეთა სამინისტროში სპეციალური სამმართველო შექმნა, რაც პრაქტიკაში ცენზურის მექანიზმს წარმოადგენს და უკვე არაერთი აბსურდული ქეისი შეიქმნა. სამსახურს საზოგადოებაში და მედიაში ხშირად მოიხსენიებენ, როგორც "სქროლვა-სქრინვის დეპარტამენტს".

აღნიშნული სამსახურის მონიტრინგს დაექვემდებარა არამხოლოდ კლასიკური სუძულვილის ენის, არსამედ ბანალური შეურაცხყოფის, ლანძღვისა და წყევლის შემთხვევებიც კი. სამსახურმა 170 სავარუდო დარღვევაზე 150 საქმე უკვე შეიტანა სასამართლოებში, რომლის ფარგლებშიც, მაგალითად, მოქალაქეები, ფეისბუქზე დაწერილი კომენტარის გამო, 8 და 9 წუთიანი სასამართლო პროცესების შედეგად, 2000 და 4000 ლარით დააჯარიმეს. მუხლი ადმინისტრაციულ პატიმრობასაც ითვალისწინებს.

მიუკერძოებლობის ილუზიისა და მომავალში "ქართული ოცნების" სახეების წინააღმდეგ გამოხატული აზრისთვის რეპრესირების მეტი ლეგიტიმაციის შესაქმნელად, მოქალაქეები დაჯარიმდნენ ფეისბუქზე ოპოზიციონერი პოლიტიკოსების მიმართ დაწერილი კომენტარისთვის, ისე რომ თავად ამ პოლიტიკოსებმა არც იცოდნენ ასეთი კომენტარის არსებობის შესახებ და არც მიუმართავთ რეაგირებისთვის სამმართველოსთვის.

- **საპოლიციო ძალადობა**

პერიოდულად ვრცელდება ვიდეომასალები, რომლებიც ასახავს პოლიციელების მხრიდან დაკავებულთა მიმართ სასტიკ და არაადამიანურ მოპყრობას, რაც ადასტურებს სისტემაში ძალადობისა და არასათანადო მოპყრობის პრაქტიკის სისტემურობას.

2026 წლის 27 მაისს რეგიონულმა მედიამ, „ქართლის ამბებმა“ გაავრცელა ქალაქ გორში გადაღებული კადრები, რომელშიც ასახულია ათამდე პოლიციელის მიერ ორი პირის, მათ შორის, წაქცეულის ჯგუფურად და სასტიკად ცემა. სამოქალაქო პროტესტისა და აღშფოთების შემდგომ, პროკურატურამ პოლიციელების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ფაქტზე ექვსი პირი დააკავა.

2026 წლის 12 ივნისს ტელეკომპანია „პირველმა“ გაასაჯაროვა აღიარებითი ჩვენების მიღების მიზნით, პოლიციის შენობაში დაკავებულთა, მათ შორის, არასრულწლოვნის ცემისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის კადრები, რომელიც 2022 წელს, ქობულეთში მომხდარ შემთხვევას ასახავს. კადრები თავად პოლიციელებმა გადაიღეს და ჯგუფურ ჩათში გაავრცელეს.

მედიის მიერ კადრების გასაჯაროვების შემდეგ, შსს-მ გამოქვეყნა განცხადება, რომ ამ ფაქტზე 3 პოლიციელი 2026 წლის 23 თებერვალს იქნა დააკავებული და მედია დისკრედიტაციაში დაადანაშაულა, თუმცა ვერ უპასუხა კრიტიკულ კითხვებს დაგვიანებული გამოძიების, საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიუწოდებლობისა და სხვა შესაძლო ბრალდებულთა ვერ გამოკვეთის შესახებ.

საქართველოს სახალხო დამცველის 2025 წლის საპარლამენტო ანგარიშის თანახმად, სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა მოინახულეს აქციებზე დაკავებული ჯამში 573 პირი, რომელთაგან სავარაუდო არასათანადო მოპყრობაზე მიუთითებდა 302 დაკავებული, დაზიანებები აღენიშნებოდა 194 პირს. მონახულებულ დაკავებულთაგან 49 ქალი და 2 არასრულწლოვანი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ სამართალდამცავთა ძალადობის შედეგად დაზარალებულად 100-ზე მეტი პირია ცნობილი, პროკურატურამ მხოლოდ 4 სპეცრაზმელის წინააღმეგ დაიწყო სს დევნა. 2024 წლის დარბევისა და უმძიმესი დაზიანებების მიყენებიდან ფქტობრივად წელიწადნახევრის შემდეგ, 2026 წლის მაისში, პროკურატურამ დააკავა აქციის მონაწილე ზვიად მაისაშვილის, ოპოზიციონერ პოლიტიკოს ლევან ხაბეიშვილისა და ჟურნალისტ გურამ როგავას მიმართ უმძიმესი ძალადობის ჩამდენი სამი ყოფილი და ერთი მოქმედი სპეცრაზმელი, ასევე, ერთი შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მოქმედი თანამშრომელი. მათი ვინაობა არ საჯაროვდება და საქმეთა განხილვა სასამართლოში დახურულ სხდომებზე მიმდინარეობს. თავად დაზარალებულ ჟურნალისტ როგავას არა აქვს ნდობა, რომ დააკავებული ნამვილად ის პირია, ვინც მას თავს დაესხა.

- **კრიტიკული მედიის შევიწროება**

კრიტიკული მედია მძიმე საკანონმდებლო და ფინანსური შეზღუდვების პირობებში აგრძელებს არსებობას. 2026 წლის I კვარტალში სარეკლამო შემოსავლების სამ მეოთხედზე მეტი სახელისუფლებო ტელეარხებზე მოდიოდა. ფინანსურ კრიზისშია ყველა კრიტიკული მაუწყებელი, ორ მათგანს დავალიანების გამო მაყურებელთა ნაწილისთვის მაუწყებლობის დროებით შეზღუდვაც მოუხდა. შექმნილი ფინანსური პრობლებების გამო 2025 წელს მაუწყებლობა ვეღარ განაახლა 17-მა რეგიონულმა მაუწყებელმა.

კომუნიკაციების კომისია აგრძელებს კრიტიკული მედიების დაჯარიმების პრაქტიკას.

“მიუკერძოებლობისა და ბალანსის დარღვევის” გამო კომისიამ დააჯარიმა ტელეკომპანია „ფორმულა“. ტელეკომპანიის განცხადებით, მარეგულირებელმა მათ კანონის დარღვევად ჩაუთვალა, მათ შორის, ფრაზების - „ოცნების სუსი“, „ივანიშვილის ხელისუფლება“, „პროსამთავრობო რუსთავი 2“ გამოყენება ახალი ამბების პროგრამაში.

ტელეკომპანია “ფორმულას” ჟურნალისტების წინააღმდეგ დაიწყო სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაც “ქართულ ოცნებასთან” დაახლოებული პირის განცხადების საფუძველზე.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიიდან და რადიოდან“, რეორგანიზაციის მოტივით, 14 თანამშრომელი გაათავისუფლეს. თანამშრომელთა ნაწილი აღნიშნულს ტელევიზიაში განსხვავებული, კრიტიკული აზრის გაშუქების მიუღებლობას უკავშირებს.

“ქართული ოცნების” პარლამენტმა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოში ოპოზიციის კვოტით, სატელიტი ოპოზიციის წარდგინებით, მმართველ პარტიასთან აფილირებული პირი აირჩა; ხოლო, კომუნიკაციების კომისიის წევრად - სახელისუფლებო ტელეკომპანია „იმედის“ იურიდიულ დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი.

მედიის წინააღმდეგ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, “რეპორტიორები საზღვრებს გარეშეს” განცხადებით, პრესის თავისუფლების ინდექსში საქართველო 114-ე ადგილიდან 135 ადგილამდე დაქვეითდა.

პრესის დამოუკიდებლობის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, „მედიის თავისუფლების კოალიციის” თანათავმჯდომარე სახელმწიფოებმა - დიდი ბრიტანეთმა და ფინეთმა, კოალიციის სხვა 14 წევრის მხარდაჭერით გამოქვეყნებულ ერთობლივი მოსაზრებაში მიუთითეს, რომ საქართველოში შემაშფოთებელ ტენდენციებს ხედავენ. განცხადებაში ასევე დაყენებულია ჟურნალისტ მზია ამაღლობელის უკანონო პატიმრობის საკითხი და მოთხოვნილია მისი გათავისუფლება.

- **ანტიდასავლური პროპაგანდა და ნარატივები**

„ქართული ოცნება“ და მისი სატელიტები აგრძელებენ მიზანმიმართულ სისტემურ ანტიდასავლურ, განსაკუთრებით ანტიევროპულ პროპაგანდას, რომელიც არაერთგზის, შეურაცხმყოფელი ფორმით დისკრედიტაციას უწევს ევროპულ ინსტიტუტებს, ადანაშაულებს პარტნიორ ქვეყნებსა და ელჩებს ქვეყნის დესტაბილიზაციაში.

უწყვეტი და მიზანმიმართული ანტიდასავლური კამპანიის მიუხედავად, 2026 წლის საზოგადოებრივი აზრის ყოველწლიური კვლევის თანახმად, ქართველების 71% მხარს უჭერს ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებას, 67% ენდობა ევროკავშირს, ხოლო 40%-ს ბლოკის მიმართ დადებითი განწყობა აქვს.

- **საერთაშორისო რეაგირება საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე**

ევროპარლამენტმა მიიღო კრიტიკული რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია, რომ ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი პრაქტიკულად შეჩერებულია და ამაზე სრული პასუხისმგებლობა მმართველ პარტია “ქართულ ოცნებას“ ეკისრება. რეზოლუცია ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ სხვა ძირითადი ლიდერების მიმართ მიზნობრივი პერსონალური სანქციების დაწესებისკენ მოუწოდებს.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა, რომ საფუძვლიანად გადახედოს შეკრების თავისუფლებასთან დაკავშირებული კანონმდებლობასა და პრაქტიკას და შეუსაბამოს კონვენციის სტანდარტებს, რათა თავიდან აიცილოს არაპროპორციული და თვითნებური ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის სასჯელები და უზრუნველყოს პროცესისების სამართლიანობა და არასამთავრობო ორგანოზაციებისთვის მუშაობის ხელსაყრელი გარემო.

ევროპის საბჭოს არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლის ექსპერტთა საბჭომ გამოაქვეყნა “ქართული ოცნების” რეპრესიული საკანონმდებლო ცვლილებების უაღრესად კრიტიკული შეფასება, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთათვის გრანტების მიღებასა და პოლიტიკურ საქმიანობას ფაქტობრივად გაუქმების ზღვრამდე ზღუდავს და მიუთითა, რომ მსგავსი ჩარჩო სრულიად შეუსაბამოა საქართველოს, როგორც ევროპის საბჭოს წევრის, ვალდებულებებთან და უნდა გაუქმდეს.

დროებით შეჩერების შემდეგ, ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო საქართველოს საბოლოოდ შეუჩერდა წევრობა ღია მმართველობის პარტნიორობაში (OGP). ქვეყანას ჰქონდა რეკომენდაცია, გაეუქმებინა სამოქალაქო საზოგადოების, მედიისა და მოქალაქეების უფლებების შემზღუდავი კანონები და დაეცვა გამოხატვის თავისუფლება. სამოქალაქო ორგანიზაციების შეფასებით, რეკომენდაციების შესრულების ნაცვლად, საქართველოს მთავრობამ მდგომარეობა გააუარესა: გაგრძელდა დემოკრატიული უკუსვლა, ადამიანის

ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვა. საქართველო დაშორდა იმ დემოკრატიულ სტანდარტებს, რომელთა შესრულებაზეც თავად იღებდა ვალდებულებას.

საფრანგეთის პარლამენტის ქვედა პალატამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც დაგმო საქართველოს მთავრობის ავტორიტარული კურსი, ფუნდამენტური უფლებების დარღვევა, მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალის არაპროპორციულ გამოყენება, „ქართული ოცნების“ ხელისუფლების „არალიბერალური და ავტორიტარული“ კურსი და ბიძინა ივანიშვილის დასანქცირებისკენ მოუწოდებს. ამავდროულად, რეზოლუცია კიდევ ერთხელ ადასტურებს მხარდაჭერას ქართველი ხალხისა და ქვეყნის ევროპული მომავლის მიმართ.

გაერთიანებულმა სამეფომ დაასანქცირა საქართველოში რეგისტრირებული სამი კომპანია, რომლებიც რუსეთს სანქციებისთვის გვერდის ავლაში ეხმარებიან.

აშშ-ის თავდაცვის ავტორიზაციის აქტის (NDAA) პროექტში საქართველოს შესახებ ორი შესწორება შევიდა, რომელებიც საქართველოში პოლიტიკური დევნით შეშფოთებასა და საქართველოში რუსული და ჩინური სადაზვერვო გავლენის შესახებ ანგარიშის მომზადებას შეეხება.